პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

585
1977/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 11 (442)

1977 წლის ნოემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 11 (442) ნოემბერი 1977 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ.
159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

განყოფილება მეორე

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ.
161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. სამხარაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. ასრიევასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ს. ზარნაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ვ. იაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ს. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებების შესახებ.

კ. მარქსის სახ. სახ. სსრ სახელმწიფო რესპუბლ. ბიბლიოთეკა

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ვ. მაკორიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. თ. ჩერედილოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. თ. ვ. ჩხენკელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

172. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. ს. ელიგულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.
საინფორმაციო ცნობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება პირველი

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 158 საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლში ცვლილების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღების დღის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულად გამოცხადების შესახებ“ სსრ კავშირის 1977 წლის 7 ოქტომბრის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის 64-ე მუხლს სიტყვების „9 მაისს — გამარჯვების დღეს“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „7 ოქტომბერს — სსრ კავშირის კონსტიტუციის დღეს“ და ამავე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „5 დეკემბერს — კონსტიტუციის დღეს“.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 17 ნოემბერი.

### ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 159 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია 1977 წლის 28 დეკემბერს ქალაქ თბილისში.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 24 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 160 საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მედლით „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“ დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში აქტიური მონაწილეობისათვის და საბჭოთა მილიციის სამოც წელთან დაკავშირებით დაჯილდოვდნენ მედლით **„საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“**:

იასონ ივანეს ძე **ბანცურია** — მილიციის ზემდეგი.
ბიჭიკო იოსების ძე **ბეჟიაშვილი** — პრაპორშჩიკი.
ქორა დურმიშხანის ძე **ბელთაძე** — მილიციის სერჟანტი.
სიმონ ილიას ძე **ბითაროვი** — მილიციის პოლკოვნიკი.
ლევან არამის ძე **გრიგორიანი** — კაპიტანი.
ავთანდილ ტიროპის ძე **კაცაძე** — მილიციის ზემდეგი.
ანტონ კირილეს ძე **კეზევაძე** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
ჰენრიხ დავითის ძე **კეკელია** — მილიციის მაიორი.
ელიოზ ნიკოლოზის ძე **კოზაშვილი** — მილიციის კაპიტანი.
პავლე ეფიმის ძე **კოკოევი** — მილიციის უმცროსი სერჟანტი.
გიორგი ანასტასის ძე **კოტრანოვი** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
ალიოშა ნიაზის ძე **მარკოიძე** — მილიციის სერჟანტი.
დავით მიხეილის ძე **მაჭავარიანი** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
მკრტიჩ ვაგანის ძე **მოსიკიანი** — მილიციის ზემდეგი.
გივი იასონის ძე **ოდიშარია** — მილიციის მაიორი.
ქუჩიკო ლავრენტის ძე **ონიანი** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
გიორგი ნიკოლოზის ძე **ფიფია** — მილიციის რიგითი.
ოთარ ანდრიას ძე **ფიფია** — მილიციის ლეიტენანტი.
გრიგოლ გრიგოლის ძე **შონია** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
ვენორი ილიას ძე **ცხაკაია** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
შოთა ვლადიმერის ძე **ძნელაძე** — მილიციის კაპიტანი.
ელგუჯა ტერენტის ძე **ხურციძე** — მილიციის რიგითი.
ვალიკო სიმონის ძე **ჯამაგიძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. **გილაშვილი**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. **ლაშქარაშვილი**

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 161 ამხ. გ. პ. სამხარაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მუშაობისათვის თბილისის ელექტრონულ-იონური ტექნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს ამხ. გიორგი პიმენის ძე სამხარაძეს მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 4 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 162 ამხ. მ. ა. ასრიევასათვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის თბილისის 26 კომისრის სახელობის უმაღლესი საარტილერიო სამეთაურო წითელდროშოვანი სასწავლებლის უცხო ენათა კათედრის გამგეს მერი ასატურის ასულ **ასრიევას** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### 163 ამხ. რ. ს. ზარნაძისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საფინანსო დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ტყიბულის № 19 პროფტექნიკური სასწავლებლის უფროს ბუხჰალტერს რიმა სპირი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონის ასულ **ზარნაძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ დამსახურებული ბუხჰალტრის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 164 ამხ. მ. ვ. იაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის წევრი ამხ. მიხეილ ვიქტორის ძე **იაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 4 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 165 საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის და საბჭოთა მილიციის სამოც წელთან დაკავშირებით **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ლეონიდ პეტრეს ძე **ამელინი** — შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი.
არჩილ გიორგის ძე **ანთელავა** — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
ვილენ ხარიტონის ძე **აფაქიძე** — მილიციის კაპიტანი.
ირაკლი გაბრიელის ძე **ბაკოშვილი** — მილიციის ზემდეგი.
თევრათ მემედის ძე **ბერიძე** — მილიციის უფროსი სერჟანტი.
შოთა ანდრიას ძე **გეგეჭკორი** — მილიციის ზემდეგი.
იური ალექსანდრეს ძე **თარხანიანი** — შინაგანი სამსახურის პოდპოლკოვნიკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური გიორგის ძე თვალჭრელიძე — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
დიანა გრიგოლის ასული კაჩაზოვა — მილიციის უფროსი ლეიტენანტი.
გივი ამბროსის ძე კინწურაშვილი — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
თამარ ივანეს ასული კრივაია — მილიციის მაიორი.
დიმიტრი დემიანეს ძე კუზმინი — მილიციის ზემდეგი.
ვლადიმერ ანტონის ძე მატუა — მილიციის მაიორი.
გივი პავლეს ძე მახარაძე — მილიციის პოლკოვნიკი.
ალექსანდრე ანდრიას ძე ორჯონიკიძე — მილიციის პოლკოვნიკი.
მიხეილ არტემის ძე პაქსაშვილი — მილიციის სერჟანტი.
მარლენ ხორენის ძე ულუხანოვი — შინაგანი სამსახურის პოლკოვნიკი.
ნოდარ დავითის ძე ფურცხვანიძე — მილიციის რიგითი.
შამიკონ შაიკის ძე ჩიტჩიანი — მილიციის პოდპოლკოვნიკი.
აბესალომ იონას ძე ჩიჩუა — მილიციის პოლკოვნიკი.
ოთარ ახმედის ძე ცინცაძე — შინაგანი სამსახურის კაპიტანი.
მურმან დავითის ძე ცისკაძე — მილიციის სერჟანტი.
მურმან დავითის ძე ჯაფარიძე — მილიციის პოდპოლკოვნიკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

## ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 166 ამხ. ლ. ს. თოფურიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი საინჟინრო მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ამხ. ლევან სერგოს ძე თოფურია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 167 ამხ. გ. ვ. მაკარიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის თერჯოლის რაიკომის მეორე მდივანი ამხ. გივი ვასილის ძე **მაკარიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 168 ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

არქიტექტურისა და დაპროექტების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საპროექტო ინსტიტუტ „თბილქალაქპროექტის" დირექტორი ამხ. გურამ ზაალის ძე **მირიანაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 169 ამხ. გ. გ. სანაკოევის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან

არსებული პარტიული კომისიის წევრი გრიგოლ გიორგის ძე **სანაკოევი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 170 ამხ. მ. თ. ჩერედილოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მშრომელების სამხედრო-პატრიოტულ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის პოლიტიკური განყოფილების უფროსი, პოლკოვნიკი მიხეილ თევდორის ძე **ჩერედილოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

## 171 ამხ. თ. ვ. ჩხენკელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, მწერალი თამაზ ვასილის ძე **ჩხენკელი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.**

თბილისი, 1977 წლის 22 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბიბლიოთეკა

## 172 ამხ. რ. ს. ელიგულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. რაფიელ სიმონის ძე ელიგულაშვილი დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1977 წლის 28 ნოემბერს.

## განყოფილება მესამე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1977 წლის 30 ნოემბრის სხდომაზე განიხილა საკითხი გეგეჭკორისა და სიღნაღის რაიონების სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საქმიანობაში დემოკრატიული პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ ისინი, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებებით, აგრეთვე კანონებით ადგილობრივი საბჭოების და დეპუტატთა სტატუსის შესახებ, მუშაობაში სულ უფრო მეტად ავრცელებენ დემოკრატიულ საწყისებს — საჯაროობის, კოლექტიურობისა და კოლეგიალობის პრინციპებს.

ამაღლდა როგორც სესიებსა და აღმასკომებზე განსახილველი საკითხების მომზადების ხარისხი, ასევე გაიზარდა მათ შესწავლა-განხილვაში მონაწილე დეპუტატებისა და აქტივისტების რიცხვი. გაუმჯობესდა დეპუტატების მიერ ამომრჩევლებისათვის ანგარიშების ჩაბარების ორგანიზაცია.

მეტი ყურადღება ექცევა საბჭოების მუშაობის საჯაროობას.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა წინასაარჩევნო კრებებზე დეპუტატობის კანდიდატებისათვის მიცემული განაწესების შესასრულებლად და სხვ.

ამასთან გეგეჭკორისა და სიღნაღის რაიონების სახალხო დეპუტატთა

ადგილობრივ საბჭოებს დემოკრატიული პრინციპების დაცვის საქმეში აქვთ ნაკლოვანებანი. კვლავ არის შემთხვევები, როდესაც სესიები ტარდება ნაჩქა-რევად, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების გარეშე. შეტყობინებები სესიის მოწვევის შესახებ დეპუტატებს ეგზავნებათ კანონით დადგენილი წესის დარღვევით.

ხშირია შემთხვევები, როდესაც საბჭოების აღმასკომები თავიანთ სხდო-მებზე არ იხილავენ სესიების მოწვევის საკითხს და არ იღებენ სათანადო გადა-წყვეტილებებს, არ ისმენენ ინფორმაციებს წინა სესიაზე მიღებულ გადაწყვე-ტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, სესიებისათვის საკითხების მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ დეპუტატები, მუდმივი კომი-სიები და ფართო აქტივი.

ზოგიერთი საბჭოს მუდმივი კომისია სრულად ვერ იყენებს დებულებით მინიჭებულ უფლებებს, სათანადო კონტროლს არ უწევს საბჭოსა და ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებების, აგრეთვე საკუთარ რეკომენდაციათა შესრუ-ლებას, იშვიათად შეაქვს საკითხები სესიისა და აღმასკომების სხდომების განსახილველად.

ხშირ შემთხვევებში, საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე საკითხებს ღრმად და საფუძვლიანად არ იხილავენ.

არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია სესიებისა და აღმასკომების გადა-წყვეტილებათა, სესიებზე დეპუტატებისა და აღმასკომების განყოფილება-სამ-მართველოთა ანგარიშების ჩაბარებისას მშრომელთა მიერ გამოთქმული კრიტი-კული შენიშვნებისა და წინადადებების კანონით დადგენილ ვადებში უშუალოდ შემსრულებლებისათვის შეტყობინების, მათზე რეაგირებისა და ადგილებიდან პასუხების მიღების, აგრეთვე მათ შესახებ დეპუტატებისა და მოსახლეობის ინფორმირების საქმეში.

საბჭოების აღმასკომები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ დეპუტატე-ბის სწავლების საკითხს, სისტემატურად არ ატარებენ „დეპუტატის დღეს", ნაკლებად ეხმარებიან დეპუტატებს ამომრჩეველთათვის ანგარიშების ჩაბარების ორგანიზაციაში, არ აწვდიან მათ საცნობარო და საინფორმაციო მასალებს.

არსებითი ნაკლოვანებებით ხასიათდება თვით დეპუტატების მუშაობა საარჩევნო ოლქებში. ზოგიერთი მათგანი არ აცნობს ამომრჩევლებს საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და განა-წესების შესრულების მდგომარეობას, აქტიურად არ მონაწილეობს მშრომელთა განცხადებების, წინადადებებისა და საჩივრების განხილვასა და შესრულების კონტროლში.

ზოგიერთი საბჭოს აღმასკომის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა ყოველთვის ჯეროვნად ვერ უზრუნველყოფს სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა საკითხი „სკკპ XXV ყრილობის და საქართველოს კპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ბორჯომის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომში მშრომელთა წერილებზე მუშაობის მდგომარეობის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 27 იანვრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა სხვა საკითხებიც.

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

მშენებლობის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მუდმივი კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ენდელაძის მოხსენება ქ. ახალციხის განაშენიანების, საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა და მუდმივი კომისიის წევრებმა დეპუტატებმა ტ. კიკალეიშვილმა, ს. მამალაშვილმა, ი. ჯავახიშვილმა, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ო. ქავთარაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ ქალაქ ახალციხის განაშენიანება-კეთილმოწყობისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის დარგში საქალაქო საბჭოს აღმასკომს ჩატარებული აქვს გარკვეული მუშაობა.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ ქალაქის განაშენიანების, საბინაო-კომუნალური მეურნეობის ორგანიზაციისა და კეთილმოწყობის საქმეში არის ნაკლოვანებები. ქალაქის საბინაო-კომუნალური ფონდის შენახვისა და მოსახლეობის საბინაო-კომუნალური მომსახურების დონე ვერ პასუხობს გაზრდილ მოთხოვნილებებს.

განხილული და დამტკიცებული არ არის ქალაქ ახალციხის განაშენიანების ახალი გენერალური გეგმა. ზემოაღნიშნული მიზეზით ქალაქის რიგი ობიექტების, განსაკუთრებით კი ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიების განაშენიანება წარმოებს წინასწარ დამტკიცებული პროექტებისა და სქემების გარეშე.

საკმარისი ყურადღება არ ექცევა ქალაქის გამწვანებას. არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია წყალსადენის მეურნეობა. ქალაქი არ არის უზრუნველყოფილი ფეკალური კანალიზაციით.

ბევრი ქუჩა განათებული არ არის. გადაუდებელ შეკეთებას საჭიროებს ზოგიერთი ქუჩის სავალი ნაწილი.

მუდმივმა კომისიამ აღნიშნული საკითხი შეიტანა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად. პრეზიდიუმმა ამ საკითხზე მიიღო შესაბამისი დადგენილება.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კულტურის მუდმივმა კომისიის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ნ. გურაბანიძის მოხსენება რესპუბლიკის სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ სასოფლო ბიბლიოთეკები აქტიურად მონაწილეობენ სკკპ XXV ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში. მათ ნაყოფიერი მუშაობა გასწიეს სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვის, მისი პროპაგანდისათვის, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60-ე წლისთავისათვის მზადებისა და ღირსეულად აღნიშვნისათვის.

ამასთან ერთად რიგი რაიონების სასოფლო ბიბლიოთეკების მუშაობაში ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. წალკის, ბოგდანოვკის, ახალ-ქალაქის, ახმეტის, ჯავის და რიგი სხვა რაიონების სასოფლო ბიბლიოთეკების მნიშვნელოვანი ნაწილი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას წიგნზე. დაბალია წიგნთბრუნვის მაჩვენებელი, ცოტაა მკითხველი. იშვიათად ტარდება მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან და სხვ.

კვლავ ცუდად არის ორგანიზებული ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების დაკომპლექტების საქმე. 1976 წელს ამ მიზნისათვის გამოყოფილი 1 მილიონ 300 ათასი მანეთიდან აუთვისებელი დარჩა 104,5 ათასი მანეთი.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში ბიბლიოთეკები დაკომპლექტებული არ არის სპეციალური განათლების მქონე მუშაკებით.

ბევრ რაიონში კვლავ სუსტია ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დღემდე 250-ზე მეტი სასოფლო ბიბლიოთეკა კერძო პირებისაგან დაქირავებულ შენობებშია.

სასოფლო ბიბლიოთეკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფასა და მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები, კულტურის განყოფილებები სათანადო დახმარებას არ უწევენ ბიბლიოთეკებს, იშვიათად სწავლობენ და იხილავენ მათი მუშაობის საკითხებს, ნაკლებად ზრუნავენ ბიბლიოთეკების მუშაკთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. დუმბაძემ. განხილულ საკითხზე კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

* * *

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

## საინფორმაციო ცნობები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით **„სახელოვანი დედის“** ორდენებითა და **„დედობის მედლით“** დაჯილდოვდა 185 მრავალშვილიანი დედა:

| | | |
|---|---|---|
| ქ. თბილისიდან | | 7 |
| ქ. ქიათურიდან | | 11 |
| ახალციხის | რაიონიდან | 8 |
| ახმეტის | „ | 1 |
| ბოგდანოვკის | „ | 14 |
| გარდაბნის | „ | 45 |
| დმანისის | „ | 22 |
| ზესტაფონის | „ | 4 |
| ზუგდიდის | „ | 9 |
| თელავის | „ | 3 |
| ლაგოდეხის | „ | 15 |
| ლენტეხის | „ | 6 |
| მესტიის | „ | 9 |
| მცხეთის | „ | 7 |
| ორჯონიკიძის | „ | 3 |
| სამტრედიის | „ | 3 |
| საჩხერის | „ | 4 |
| ქარელის | „ | 9 |
| ჩოხატაურის | „ | 3 |
| წალენჯიხის | „ | 2 |

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1974 წლის 18 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუმის 1977 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით „შრომის ვეტერანის“ მედლით დაჯილდოვდა 1.110 კაცი:

| | |
|---|---|
| ქ. თბილისის კალინინის რაიონიდან | 113 |
| „ კიროვის „ | 196 |
| „ 26 კომისრის „ | 91 |
| ქ. ზუგდიდიდან | 11 |
| „ ფოთიდან | 92 |
| „ ქუთაისიდან | 54 |
| ახალციხის რაიონიდან | 10 |
| ბოლნისის „ | 5 |
| გორის „ | 123 |
| დუშეთის „ | 14 |
| ზუგდიდის „ | 39 |
| კასპის „ | 52 |
| ლაგოდეხის „ | 62 |
| ლანჩხუთის „ | 30 |
| მარნეულის „ | 4 |
| მახარაძის „ | 25 |
| მცხეთის „ | 9 |
| საჩხერის „ | 58 |
| ქარელის „ | 14 |
| ჩხოროწყუს „ | 29 |
| წალენჯიხის „ | 10 |
| ხაშურის „ | 69 |